

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კოლორპარკი

2021 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 შედგენის საფუძველი	11
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	11
2.2 მომზადების საფუძველი	11
2.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	11
2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება	11
2.5 ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	11
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	12
3.1 უცხოური ვალუტა	12
3.2 ძირითადი საშუალებები	12
3.3 არამატერიალური აქტივები	12
3.4 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება	12
3.5 იჯარა	13
3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
3.7 ფინანსური ინსტრუმენტები	13
3.8 ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები	14
3.9 კაპიტალი	14
3.10 მოგების გადასახადი	14
3.11 შემოსავალი	14
4 ძირითადი საშუალებები	16
5 არამატერიალური აქტივები	17
6 მარაგები	17
7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
8 გაცემული სესხები	18
9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	18
10 სესხები	18
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
12 შემოსავალი	19
13 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	19

14	სხვა საოპერაციო ხარჯები	19
15	ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	19
16	არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	20
17	საქურსო სხვაობა	20
18	მოგების გადასახადი	20
19	მნიშვნელოვანი ბუღალტრული დამჯებები და შეფასებები	20
19.1	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	20
20	ფინანსური ინსტრუმენტები	21
20.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	21
20.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	21
21	ფინანსური რისკის მართვა	21
22	კაპიტალის რისკის მართვა	24
23	გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
23.1	გადასახადები	25
23.2	გარემოს დაცვა	25
23.3	ბიზნეს გარემო	25
24	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	25
25	დაკავშირებული მხარეები	26
25.1	საკონტროლო ურთიერთობები	26
25.2	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
25.3	ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და ახლო ოჯახის წევრებთან	27
26	შემდგომი მოვლენები	27
27	შესაღარი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს „კოლორპარკ“-ის დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს კოლორპარკის („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს „ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 წლის 1 იანვარს მშობელმა კომპანიამ შპს კოლორპარკში განახორციელა კაპიტალის ზრდა მანქანა დანადგარების გადაცემით გზით. კაპიტალში ძირითადი საშუალების შეტანა აღირიცხა გადაცემის მომენტში მათი საბალანსო ღირებულებით (რამაც 2,855,767 ლარი შეადგინა), რაც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს, რომელიც ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში კაპიტალში შენატანი უნდა აღირიცხოს გადაცემის თარიღში გადაცემული აქტივების რეალური ღირებულებით. ჩვენ ვერ შევძელით განვსაზღვრა გადაცემული აქტივების სამართლიანი ღირებულება გადაცემის თარიღისათვის. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ რა ოდენობის კორექტირების შეტანა არის აუცილებელი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ძირითადი საშუალებებისა და მფლობელთა კაპიტალის მუხლების საბალანსო ღირებულებებში და ამ საკითხთან დაკავშირებულ სხვა მუხლებში ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანია საწარმოო მანქანა-დანადგარების ცვლას და წარმოებაში დასაქმებული მუშახელის ხელფასებზე დანახარჯებს არ აკაპიტალიზირებს დაუმთავრებელი წარმოების (და შესაბამისად მზა პროდუქციის) თვითღირებულებაში, რაც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ რა ოდენობის აღნიშნული დანახარჯები უნდა ყოფილიყო ჩართული კომპანიის მარაგების თვითღირებულებაში 2020 წლის 31 დეკემბრის ან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ რა ოდენობის კორექტირება შეიძლება ყოფილიყო საჭირო დაუმთავრებელი წარმოებისა და მზა პროდუქციის ნაშთებში აღნიშნული თარიღებისთვის და აგრეთვე მოგება-ზარალის მოძრაობის ანგარიშგების იმ მუხლებში, რომლებზეც გავლენა აქვს აღნიშნულ საკითხს.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პაუსხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პაუსხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით

გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

სხვა საკითხები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის აუდიტებული იყო სხვა აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელმაც გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე 2021 წლის 23 სექტემბერს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასის-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს

ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი,

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის # - SARAS-A 774309)

27 სექტემბერი 2022



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარი შებული)	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარ იშებული)
	შენიშვნა			
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	4	10,843,719	7,793,233	6,083,924
არამატერიალური აქტივები	5	44,562	7,329	8,225
		10,888,281	7,800,562	6,092,149
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
მარაგები	6	4,110,225	4,028,038	2,555,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,709,302	3,097,375	2,205,103
გაცემული სესხები	8	653,018	-	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	9	347,131	541,272	307,863
		8,819,676	7,666,685	5,068,754
სულ აქტივები		19,707,957	15,467,247	11,160,903
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
საწესდებო კაპიტალი		3,182,667	3,182,667	326,900
აკუმულირებული მოგება		1,855,430	(683,617)	222,189
		5,038,097	2,499,050	549,089
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
სესხები	10	8,567,592	7,088,460	8,070,827
		8,567,592	7,088,460	8,070,827
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,270,111	3,781,798	2,520,138
სესხები	10	2,832,157	2,097,939	20,849
		6,102,268	5,879,737	2,540,987
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,707,957	15,467,247	11,160,903

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 27 სექტემბერს:

ადმასრულებელი დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

სანდრო გახელაძე

თორნიკე სიმონია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-29 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარი შებული)	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარ იშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	10,843,719	7,793,233	6,083,924
არამატერიალური აქტივები	5	44,562	7,329	8,225
		10,888,281	7,800,562	6,092,149
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	4,110,225	4,028,038	2,555,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,709,302	3,097,375	2,205,103
გაცემული სესხები	8	653,018	-	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	9	347,131	541,272	307,863
		8,819,676	7,666,685	5,068,754
სულ აქტივები		19,707,957	15,467,247	11,160,903
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი		3,182,667	3,182,667	326,900
აკუმულირებული მოგება		1,855,430	(683,617)	222,189
		5,038,097	2,499,050	549,089
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	8,567,592	7,088,460	8,070,827
		8,567,592	7,088,460	8,070,827
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,270,111	3,781,798	2,520,138
სესხები	10	2,832,157	2,097,939	20,849
		6,102,268	5,879,737	2,540,987
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,707,957	15,467,247	11,160,903

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 27 სექტემბერს:

აღმასრულებელი დირექტორი

სანდრო გახელაძე



ფინანსური მენეჯერი

თორნიკე სიმონია



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-29 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს;

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	12	25,520,433	17,814,315
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(16,061,259)	(11,230,985)
მთლიანი მოგება		9,459,174	6,583,330
თანამშრომელთა ხელფასები		(3,853,031)	(2,643,085)
ცვტა და ამორტიზაცია		(1,040,074)	(1,564,734)
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები		(92,882)	(89,803)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(1,993,710)	(1,571,689)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგები		2,479,477	714,019
ფინანსური შემოსავალი	15	21,273	4,015
ფინანსური ხარჯი	15	(645,336)	(338,512)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	16	238,267	392,555
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	17	1,022,365	(1,677,883)
მოგება დაბეგვრამდე		3,116,047	(905,806)
მოგების გადასახადი (ხარჯი)/აღდგენა		-	-
წლის მოგება		3,116,047	(905,806)
წლის მთლიანი სრული მოგება		3,116,047	(905,806)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-29 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	326,900	222,189	549,089
წლის მოგება	-	(905,806)	(905,806)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(905,806)	(905,806)
კაპიტალის გაზრდა	2,855,767	-	2,855,767
ოპერაციები მფლობელებთან	2,855,767	-	2,855,767
2020 წლის 31 დეკემბერი	3,182,667	(683,617)	2,499,050
წლის მოგება	-	3,116,047	3,116,047
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,116,047	3,116,047
გაცემული დივიდენდები	-	(577,000)	(577,000)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(577,000)	(577,000)
2021 წლის 31 დეკემბერი	3,182,667	1,855,430	5,038,097

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-29 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული საოპერაციო საქმიანობიდან			
შემოსავალი რეალიზაციიდან		29,041,017	19,164,889
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(17,753,611)	(12,524,390)
გადახდილი ხელფასი		(3,199,862)	(2,202,268)
კომუნალური და კომუნალური ხარჯი		(9,157)	(4,210)
სარემონტო და ტექნიკურ მოსამზრებელში გადახდილი ფული		(88,361)	(162,940)
მომსახურებაზე გადახდილი ფული		(689,949)	(245,043)
გადასახადები, ჯარიმები და სხვა გარდა საშემოსავლო გადასახადისა		(2,930,616)	(1,001,388)
სხვა გადახდილი გადასახადები		(620,920)	(1,072,567)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		3,748,541	1,952,083
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფული		(5,932,744)	(640,547)
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფული		(33,892)	-
გაცემული სესხები		(105,000)	-
გაცემული სესხის დაბრუნება		105,000	-
საპროცენტო შემოსავალი		6,384	4,015
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(5,960,252)	(636,532)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება	25	8,031,314	394,500
სესხის დაფარვა	25	(4,950,050)	(1,143,664)
პროცენტის დაფარვა	25	(615,474)	(302,059)
გადახდილი დივიდენდები	25	(577,000)	-
მიღებული გრანტი		165,717	-
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		2,054,507	(1,051,223)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(157,204)	264,328
ფული ხელზე და ბანკის ანგარიშზე საწყისი ნაშთი		541,272	307,863
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა		(36,937)	(30,919)
ფული ხელზე და ბანკის ანგარიშზე საბოლოო ნაშთი		347,131	541,272

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-29 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს კოლორაპი ("კომპანია") დაარსდა 2005 წლის 16 მარტი, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საიდენტიფიკაციო კოდი: 206176109) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს გამომცემლობა კოლორი. საბოლოო მაკონტროლებელი ფიზიკური პირი არის ივანე თევდორაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პოლიგრაფიული მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ეკატერინე ბაღდავაძის ქუჩა ქ. N3.

საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით წარმოადგენს მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ღარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ერთეულ ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-19 შენიშვნაში.

2.5 ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

კომპანიას ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ცვლილებები შეაქვს და ასწორებს წინა პერიოდის შეცდომებს რეტროსპექტულად, შეცდომის აღმოჩენის შემდეგ გამოსაცემად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების პირველივე ვერსიაში. ცვლილებების შეტანა ხდება შემდგენიარად: შესადარის თანხების აღდგენა წინა პერიოდებიდან რომლებშიც მოხდა შეცდომა; ან თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ პერიოდში, ხდება აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ბალანსების განახლება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ისე, თითქმის შეცდომის გასწორება მოხდა იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც ამის აუცილებლობა გაჩნდა. აქედან გამომდინარე, შესწორებული თანხის ოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში რომელშიც ის განხორციელდა.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

მანქანა-დანადგარები	- 5 - 15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 - 10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5 - 10 წელი
საოფისო ინვენტარი და სხვა	- 5 - 10 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის საფუძველზე, რომელიც 10 წელია.

3.4 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, იგი უნდა შემცირდეს ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი

ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხარჯის სახით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი ასახულია გადაფასებული თანხით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი აღიარდება როგორც ჩამოფასება.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში ამობრუნდება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადაფასებულ ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისათვის გაუფასურების გარეშე წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება როგორც შემოსავალი.

3.5 იჯარა

იჯარა, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი ეკუთვნის მეიჯარეს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის დროს განხორციელებული გადახდები (გამქირავებლისგან მიღებული წახალისებების გარეშე) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით იჯარის პერიოდისათვის.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, თუ არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადადის კომპანიის საკუთრებაში. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიან ღირებულებასა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელი ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი ღირებულება აღიარდება როგორც ფინანსური საიჯარო ვალდებულება.

ცვთის მეთოდები და ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შესაბამეა იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შესაძარის აქტივებზე, რომლებიც იურიდიულად არის კომპანიის საკუთრებაში. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულებები მცირდება იჯარის გადახდებსა და ფინანსურ ხარჯებს შორის სხვაობით, რომლებიც ხარჯში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯის ნაწილი.

საიჯარო გადასახადების საპროცენტო ნაწილი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რათა წარმოდგენდეს დარჩენილი კაპიტალის ნაშთის მუდმივ ნაწილს, და ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან. მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს შეფუთვის ხარჯებს, ნედლეულს, სათადარიგო ნაწილებს და სხვა პირდაპირ ხარჯებს და მასთან დაკავშირებულ წარმოების ხარჯებს.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე, ხოლო დებიტორული დავალიანება პროცენტს არ ითვალისწინებს. იქ, სადაც კრედიტი აჭარბებს ნორმალურ საკრედიტო პირობებს,

მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებების გადახედვა იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალურ საკრედიტო პირობებში არიან და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასად (ანუ ბანკისათვის გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში.

3.8 ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს საღარიბოში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.9 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს პარტნიორთა შენატანს კომპანიის კაპიტალში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში ხორციელდება კომპანიის პარტნიორების მიერ.

დაგროვილი მოგება/(ზარალი) შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას.

დივიდენდები ვალდებულადაა აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.10 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან, („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“) რომელიც გულისხმობს ნულოვან კორპორატიულ გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს განაწილებულ მოგებაზე (აქციონერებზე განაწილებული მოგება დივიდენდების სახით) და ინდივიდუალურ გარიგებებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არალეგალური საზღვრისპირა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას და სხვა).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას, ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იხვერება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის 29-ე განყოფილებით „მოგების გადასახადი“ არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს საქონლის გასაყიდად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, დეკლარაციების, ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ; მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილდება კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ რაც საქონელი გადაეცემა კლიენტს და ყველა რისკი და სარგებელი გადავა მყიდველზე.

მომსახურების გაწევა

მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, მაშინ, როდესაც კომპანია გასწევს მომსახურებას და წარმოექმნება საკონტრაქტო უფლება შემოსავლის მიღებაზე.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>თვითღირებულება</i>					
2019 წლის 31 დეკემბერი	89,557	10,253,951	39,488	-	10,382,996
შემოსვლა	33,292	3,472,572	41,179	25,454	3,572,497
გასვლა	-	(1,911,930)	-	(5,600)	(1,917,530)
2020 წლის 31 დეკემბერი	122,849	11,814,593	80,667	19,854	12,037,963
შემოსვლა	142,022	4,960,983	62,444	27,467	5,192,916
გასვლა	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	264,871	15,641,786	143,111	47,321	16,097,089
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
2019 წლის 31 დეკემბერი	-	4,275,703	23,369	-	4,299,072
წლის ცვეთა	11,577	1,543,143	8,430	687	1,563,837
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(1,617,717)	-	(462)	(1,618,179)
2020 წლის 31 დეკემბერი	11,577	4,201,129	31,799	225	4,244,730
წლის ცვეთა	17,034	971,850	34,486	3,376	1,026,746
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(18,106)	-	-	(18,106)
2021 წლის 31 დეკემბერი	28,611	5,154,873	66,285	3,601	5,253,370
<i>საბალანდო ღირებულება</i>					
2019 წლის 31 დეკემბერი	89,557	5,978,248	16,119	-	6,083,924
2020 წლის 31 დეკემბერი	111,272	7,613,464	48,868	19,629	7,793,233
2021 წლის 31 დეკემბერი	236,260	10,486,913	76,826	43,720	10,843,719

2021 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები ღირებულებით 5,825,897 დაგირავებულ იქნა სესხის ვალდებულებების უზრუნველყოფისათვის.

ცვეთის ხარჯი სრულად დარიცხულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში და არ არის ჩართული მარაგების თვითღირებულებაში.

5 არამატერიალური აქტივები

ლარი	ლიცენზია	სხვა	სულ
თვითღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბერი	8,932	-	8,932
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	8,932	-	8,932
შემოსვლა	-	50,560	50,560
გასვლა	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი		50,560	50,560
დაგროვილი ამორტიზაცია			
2019 წლის 31 დეკემბერი	707	-	707
წლის ამორტიზაციის ხარჯი	896	-	896
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	1,603		1,603
წლის ამორტიზაციის ხარჯი	892	12,435	13,327
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	2,495	12,435	14,930
საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბერი	8,225	-	8,225
2020 წლის 31 დეკემბერი	7,329	-	7,329
2021 წლის 31 დეკემბერი	6,437	38,125	44,562

ამორტიზაციის ხარჯები აღირიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებში

6 მარაგები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალა	3,495,060	3,665,629
მზა პროდუქცია	614,385	362,409
სხვა	780	-
	4,110,225	4,028,038

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები სხვა იურიდიული პირებისგან	3,633,224	2,960,052
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	306,095	287
	3,939,319	2,960,339
ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე	(234,044)	(152,515)
სავაჭრო მოთხოვნები	3,705,275	2,807,824
არაფინანსური აქტივები		
ავანსები და წინასწარი გადახდები	4,027	289,551

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

4,027	289,551
3,709,302	3,097,375

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია როგორც დაახლოებითი სამართლიანი ღირებულება.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის სრულად ანაზღაურებადი.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების ინდიკატორების მიმართ განხილულია შესადარის პერიოდთან მიმართებაში.

იხილეთ შენიშვნა 21(ა) იმ ვალუტების შესახებ, რომლებშიც არის დენომინირებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

8 გაცემული სესხები

დაკავშირებული მხარეები	ვადა	აპროცენტო განაკვეთი	ორიგინალი ვალუტა	2021 წლის 31 დეკემბერი
შპს დამზადებულია საქართველოში	2 მაისი 2022	14%	ლარი	653,018
				653,018

9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული საღაროში	814	55,052
ფული საბანკო ანგარიშებზე	346,317	486,220
	347,131	541,272

იხილეთ შენიშვნა 21 (ა) იმ ვალუტების შესახებ, რომლებშიც არის დენომინირებული ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე.

10 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი ბანკის სესხები	2,065,312	1,692,166	8,018,900	6,580,517
სესხები დაკავშირებული მხარესგან	766,845	405,773	548,692	507,943
	2,832,157	2,097,939	8,567,592	7,088,460

კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულებები როგორც საფინანსო ორგანიზაციებიდან ასევე დაკავშირებული მხარეებისგან.

საბანკო სესხები წარმოადგენს უზრუნველყოფილ სესხებს, რისთვისაც გირაოდ ჩადებული აქტივების ჯამური ღირებულება შეადგენს 5,825,897 ლარს. საბანკო სესხები ევროში აღებულია 6%-ში, ხოლო დოლარში 5%, ლარში 14%.

გრძელვადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირებას 14.00%-იანი განაკვეთით დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებისთვის (2020: 14.00%).

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	2,851,023	3,330,829
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	157,634	339,416
საგადასახადო ვალდებულება	261,454	111,553
	3,270,111	3,781,798

კომპანიას გააჩნია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა ვალდებულების დაფარვა საკრედიტო ვადაში.

უცხოური ვალუტის რისკებზე კომპანიის ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ 17 (ა) პუნქტი.

12 შემოსავალი

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი პოლიგრაფიული პროდუქციის გაყიდვებიდან	25,505,826	17,796,160
სხვა შემოსავალი	14,607	18,155
	25,520,433	17,814,315

13 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 16,061,259 ლარის ოდენობით მოიცავს მხოლოდ გამოყენებულ მასალებს (2020: 11,230,985 ლარი)

14 სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
იჯარის ხარჯი	939,098	1,112,512
მომსახურების ხარჯი	413,443	265,459
საპენსიო ფონდი	73,606	48,818
ოფისის ხარჯი	51,699	76,008
დაზღვევის ხარჯი	10,970	7,626
შეკეთებისა და მოვლის ხარჯი	34,267	19,676
რეკლამის ხარჯები	45,579	1,602
საწვავის ხარჯი	21,924	3,471
ტრანსპორტირების ხარჯი	19,057	-
ბიზნეს-მოგზაურობა	12,897	7,688
დებიტორული დავალიანების ანარიცხის ხარჯი	165,321	-
სხვა ხარჯები	205,848	28,829
	1,993,709	1,571,689

15 ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხებზე	(501,112)	(293,753)
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეების სესხებიდან	(144,224)	(44,759)
სულ ფინანსური ხარჯი	(645,336)	(338,512)

საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებული მხარეების სესხებიდან	21,273	4,015
სულ ფინანსური შემოსავალი	21,273	4,015
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(624,063)	(334,497)

16 არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
განსხვავება სესხის სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის	71,484	108,580
მიღებული გრანტები	165,717	-
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება	-	32,333
სხვა არასაოპერაციო მოგება	1,066	251,642
	238,267	392,555

17 საკურსო სხვაობა

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული და სავაჭრო მოთხოვნები	(14,489)	(13,649)
სავაჭრო ვალდებულებები შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით	1,036,854	(1,664,234)
	1,022,365	(1,677,883)

18 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან, კომპანიები იხდიან მოგების გადასახადს პირებზე დივიდენდად განაწილებულ მოგებაზე და ისეთი ოპერაციებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოგების არაპირდაპირ მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები და ხარჯები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). აღნიშნული ცვლილების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და მათ საგადასახადო ბაზას შორის. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადი.

19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე. ამასთან, გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მოსალოდნელი მოვლენები და სხვა მოლოდინები, რაც სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი შესწორებების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას, ყოველი საანგარიშო თარიღისთვის არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულების გათვალისწინებით. აღნიშნული მარაგების მომავალში რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალმა ტექნოლოგიამ ან ბაზარზე ორიენტირებულმა სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გაყიდვების ფასები.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი და სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა. ხელმძღვანელობამ გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესახებ. შედარება დგინდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა უზრუნველყოფა, ხანგრძლივობა, ვალუტა, მრეწველობა და მსესხებლის სექტორი.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები მათი საბალანსო ღირებულების მიახლოებულია.

20 ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,939,319	2,960,339
გაცემული სესხები	653,018	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	347,131	541,272
სულ ფინანსური აქტივები	4,939,468	3,501,611

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სესხები	11,399,749	9,186,399
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,008,656	3,670,245
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,408,405	12,856,644

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს ტრანზაქციების გარკვეულ ნაწილს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული		
2021 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	467,464	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	-	245,308
	467,464	245,308
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	1,933,983	6,148,916
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,353,414	-
	4,287,397	6,148,916
წმინდა პოზიცია	(3,819,933)	(5,903,608)

ერთეული		
2020 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	226,817	-
	226,817	-
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	2,836,463	5,727,012
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	401,363	-
	3,237,826	5,727,012
წმინდა პოზიცია	(3,011,009)	(5,727,012)

ქართული ლარი რომ სხვა ვალუტებთან მიმართებაში გამყარებულიყო 15%-ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2021	2020	2021	2020
მოგება ან ზარალი	643,110	451,651	922,337	859,052

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს კომპანიისათვის. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო

რისკს ფინანსური აქტივებიდან, მათ შორის ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებიდან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ინდივიდუალურად, კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე და დეპოზიტებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით, რომლებიც მხოლოდ ძლიერ და კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში არის განთავსებული. კომპანია არ ფლობს რაიმე დაცვას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსების დაცვისათვის. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს რომელიც ეხება ფინანსურ აქტივებს (მაგ: ფულს და ფულად ექვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში).

კომპანია არ ფლობს რაიმე დაცვას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსების დაცვისათვის.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მიღებული საკრედიტო ზარალისათვის ყველა სავაჭრო მოთხოვნაზე და ამ ერთეულებს არ აქვთ მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი.

მოსალოდნელი ზარალის განაკეთი დაფუძნებულია გადახდების პროფილზე მომსახურების გაყიდვიდან გასული ერთი წლის განმავლობაში, როგორც ამავე პერიოდის შესაბამისი ისტორიული საკრედიტო დანაკარგები.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მათი დაბრუნებისა. თუ გადახდა დაგვიანდა 365 დღეზე მეტ პერიოდზე, ასევე ვერ მოხერხდა ალტერნატიული გზებით თანხის ამოღება, მაშინ ხდება აღნიშნული მოთხოვნის მოსალოდნელი ზარალის გაანგარიშება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის განსაზღვრულია:

2021 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სიცოცხლეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
6 თვეზე ნაკლები	100%	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	100%	-	-
1 წელზე მეტი	100%	(234,044)	(234,044)
		<u>(234,044)</u>	<u>(234,044)</u>

2020 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სიცოცხლეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
6 თვეზე ნაკლები	100%	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	100%	-	-
1 წელზე მეტი	100%	(152,515)	(152,515)
		<u>(152,515)</u>	<u>(152,515)</u>

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საბოლოო ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის რეკონსილირებული სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ბალანსებთან ერთად შემდეგია:

ლარი	2021	2020
ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	(152,515)	(152,515)
წლის განმავლობაში დამატებით აღიარებული ზარალი	(81,529)	-
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	<u>(234,044)</u>	<u>(152,515)</u>

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივად ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების დაფარვა. ცხრილი შეიცავს ფულადი ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2021	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		9.04%	10%	
6 თვეზე ნაკლები	3,008,657	1,341,318	789,116	5,139,091
6 თვიდან 1 წლამდე	-	1,343,794	-	1,343,794
1-5 წლამდე	-	9,897,811	728,887	10,626,698
5 წელზე მეტი	-	894,579	-	894,579
	3,008,657	13,477,502	1,518,003	18,004,162

2020	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		3.98%	7%	
6 თვეზე ნაკლები	3,670,245	487,032	-	4,157,277
6 თვიდან 1 წლამდე	-	799,403	-	799,403
1-5 წლამდე	-	7,683,864	677,934	8,361,798
5 წელზე მეტი	-	905,901	-	905,901
	3,670,245	9,876,200	677,934	14,224,379

ლიკვიდურობის რისკის შეფასებით და მართვით კომპანია საზღვრავს მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან. კომპანიის ფულის რესურსი და სავაჭრო მოთხოვნები აჭარბებს მიმდინარე ფულის გადინების მოთხოვნებს.

22 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია მართავს კაპიტალს ისე, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებისათვის ადეკვატური უკუგების ჩვენება.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, დაგროვილ მოგებას და ვალს, რომელიც შედგება სესხებისგან და რომელიც წარმოდგენილია მე-10 შენიშვნაში. კომპანიის მიერ კაპიტალის სახით მართული თანხები საანგარიშო პერიოდისათვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

კომპანია აკონტროლებს კაპიტალს “წმინდა ვალი“-სა და “კორექტირებული საკუთარი კაპიტალი“-ს თანაფარდობით:

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
წმინდა ვალი		
სესხები	11,399,749	9,186,399
მინუს: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(347,131)	(541,272)

	11,052,618	(8,645,127)
კორექტირებული საკუთარი კაპიტალი		
სულ საკუთარი კაპიტალი	5,023,207	2,499,050
თანაფარდობა წმინდა ვალსა და კორექტირებულ საკუთარ კაპიტალს შორის	2.2	3.5

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

23.2 გარემოს დაცვა

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თუმცა, საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელმაც შესაძლოა მომავალში წარმოშვას მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

23.3 ბიზნეს გარემო

საქართველო აგრძელებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ გააჩნია განვითარებული ბიზნეს და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად არსებობს უფრო მსხვილ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში. გარდა ამისა, ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მოცულობას, რაც შესაძლოა არ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებს. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება არის ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზა, რეგიონული არასტაბილურობა და საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ცვლილებები ვალდებულებებში შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათას ქართულ ლარში	მოკლევადია ნი სესხები	გრძელვადია ნი სესხი	ლივიდენდი	სულ
31 დეკემბერი 2019	20,849	8,070,827		8,091,676
ფულადი ოპერაციები				
პროცენტის გადახდა	(284,354)	-		(284,354)
ძირის გადახდა	(379,500)	(764,164)		(1,143,664)
სესხის აღება	394,500	-		394,500
გადახდილი ლივიდენდი	-	-		-
არაფულადი ოპერაციები	-	-		-

გადახურვა				
დებიტორ/კრედიტორებთან	(470)	300,000		299,530
რეალური ღირებულება	-	(108,580)		(108,580)
დარიცხული პროცენტი	320,807	-		320,807
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	2,428	1,614,056		1,616,484
რეკლასიფიკაცია	2,023,679	(2,023,679)		-
31 დეკემბერი 2020	2,097,939	7,088,460	-	9,186,399
ფულადი ოპერაციები				
პროცენტის გადახდა	(468,261)			(468,261)
ძირის გადახდა	(1,500,130)	(3,449,920)		(4,950,050)
სესხის აღება	1,752,200	6,279,114		8,031,314
გადახდილი დივიდენდი	-	-	(577,000)	(577,000)
არაფულადი ოპერაციები	-	-		-
გადახურვა				
დებიტორ/კრედიტორებთან	(1,464)	-		(1,464)
რეალური ღირებულება	-	(71,484)		(71,484)
დარიცხული პროცენტი	495,005	-		495,005
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(279)	(821,431)		(821,710)
რეკლასიფიკაცია	457,147	(457,147)	-	-
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	577,000	577,000
31 დეკემბერი 2021	2,832,157	8,567,592	-	11,399,749

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა;

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის მფლობელობის შესახებ ინფორმაცია წარდგენილია შენიშვნა N1-ში.

25.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები.

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები		
მშობელი კომპანია		
სესხის აღება	626,200	109,000
სესხის დაფრვა	(641,295)	(102,031)
საპროცენტო ხარჯი	2,552	97
რეალიზაცია	90,495	395,676
ინვენტარის შეძენა	79,364	1,969,418
სხვადასხვა საოპერაციო ხარჯები	574,066	345,971
გამოცხადებული დივიდენდი	577,000	-
გადახდილი დივიდენდი	(577,000)	-
დაკავშირებული მხარეები		
სესხის აღება	1,841,000	375,168

სესხის დაფრვა	(1,570,643)	(59,311)
საპროცენტო ხარჯი	126,697	51,469
რეალიზაცია	677,609	616,044
სხვადასხვა საოპერაციო შემოსავალი	207,627	-
ინვენტარის შეძენა	10,204,564	5,071,744
ძირითადი საშუალების შეძენა	1,358,195	170,903
სხვადასხვა საოპერაციო ხარჯები	210,844	296,594
იჯარა	153	-

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები		
<i>მშობელი კომპანია</i>		
სესხები	-	15,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35,333	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	63,301	826,307
<i>დაკავშირებულ მხარეებთან</i>		
სესხები	1,302,691	948,864
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	337,122	75,015
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,300,526	1,684,634

25.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და ახლო ოჯახის წევრებთან

ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო ანაზღაურება, რომელიც შედის სახელფასო და დასაქმებულთა სარგებელში.

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	175,601	41,963

26 შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ჯარებმა დაიწყეს უკრაინაში შეჭრა. მიმდინარე სამხედრო თავდასხმას მოჰყვა მნიშვნელოვანი მსხვერპლი, მოსახლეობის დისლოკაცია, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ეკონომიკური აქტივობის შეფერხება უკრაინაში.

საპასუხოდ, მრავალმა იურისდიქციამ, მათ შორის ევროკავშირმა, შვეიცარიამ, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, კანადამ, იაპონიამ და ავსტრალიამ დააწესეს ეკონომიკური სანქციების საწყისი ტრანშები რუსეთს (და ზოგიერთ შემთხვევაში ბელორუსიას). სანქციების დაწესების გარდა, მსხვილი საჯარო და კერძო კომპანიების მზარდმა რაოდენობამ გამოაცხადა ნებაყოფლობითი ქმედებები რუსეთთან და ბელორუსთან ბიზნეს აქტივობების შესამცირებლად. ეს ქმედებები მოიცავს აქტივების განკარგვის გეგმებს ან ოპერაციების შეწყვეტას რუსეთში/ბელარუსში, ამ ქვეყნებში ექსპორტის ან იმპორტის შეზღუდვას და სერვისების მიწოდების შეწყვეტას.

გარდა ამისა, სხვადასხვა საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ რამოდენიმე რუსულ კომპანიას შეუჩერდა ლისტინგი და გამორიცხული იქნენ ბაზრის ინდექსებიდან. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა დროებით შეაჩერა აქციებითა და დერივატივებით ვაჭრობა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე დროებით აუკრძალა უცხოელ ინვესტორებს რუსული აქტივების გაყიდვა და მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესა უცხოური სუბიექტებისთვის ნებისმიერ გადახდებზე, მაგ. ფინანსური ვალდებულებების დასაფარად.

ომი უკრაინაში და მასთან დაკავშირებული მოვლენები ხდება მნიშვნელოვანი გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობისა და მერყეობის დროს და ეფექტები, სავარაუდოდ, ურთიერთქმედებს და გააძლიერებს მიმდინარე ბაზრის ეფექტებს. ბევრი სექტორი/იურისდიქცია უკვე განიცდის სასაქონლო ფასების ზრდისა და ნედლეულის გაზრდილი ხარჯების გავლენას, რაც გამოწვეულია მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდის შედეგად COVID-19 პანდემიის შემსუბუქების გამო. მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები,

რომლებიც წარმოიქმნება პანდემიის ეფექტებიდან, გრძელდება და ძლიერდება მუშახელის დეფიციტისა და სავაჭრო ხაზუნის გამო. ეს პირობები შეიძლება მნიშვნელოვნად გამწვავდეს უკრაინაში ომის ფართო ეფექტებით, გაზრდილი ინფლაციური ზეწოლა და გლობალური პოსტპანდემიური აღდგენის შესუსტება.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის გავლენა, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვლის ბოლოს, არ არის მნიშვნელოვანი ან კრიტიკული.

27 შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

2021 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა ხარვეზები შესადარის ინფორმაციაში, რომელიც უკავშირდება ქვემოთ აღნიშნულ ნაშთებს 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით და უზუსტობის გამოსასწორებლად გადაანგარიშდა შესაბამისი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარსადგენად, კომპანიამ გადაწყვიტა შეცვალოს კლასიფიკაცია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ზოგიერთ პუნქტში.

შემდეგი ცხრილები აჩვენებს 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და 2020 წლის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში განხორციელებულ შესწორებებს:

2020 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გამოიყურება შემდეგნაირად:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	შესწორებები	2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7,793,233	-	7,793,233
არამატერიალური აქტივები	7,329	-	7,329
	7,800,562	-	7,800,562
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	4,028,038	-	4,028,038
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,097,375	-	3,097,375
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	541,272	-	541,272
	7,666,685	-	7,666,685
სულ აქტივები	15,467,247	-	15,467,247
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	3,182,667		3,182,667
აკუმულირებული მოგება	(795,316)	(111,699)	(683,617)
	2,387,351	(111,699)	2,387,351
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	7,088,462	-	7,088,462
	7,088,462	-	7,088,462
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,781,798		3,781,798
სესხები	2,209,636	(111,699)	2,097,937
	5,991,434	(111,699)	5,991,434
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	15,847,491	-	15,847,491

2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გამოიყურება შემდეგნაირად:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	შესწორებები	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6,083,924	-	6,083,924
არამატერიალური აქტივები	8,225	-	8,225
	6,092,149	-	6,092,149

მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	2,555,788	-	2,555,788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,205,103	-	2,205,103
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	307,863	-	307,863
	5,068,754	-	5,068,754
სულ აქტივები	11,160,903	-	11,160,903
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	326,900	-	326,900
აკუმულირებული მოგება	222,189	-	222,189
	549,089	-	549,089
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	8,070,827	-	8,070,827
	8,070,827	-	8,070,827
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,520,137	-	2,520,137
სესხები	20,849	-	20,849
	2,520,137	-	2,520,137
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11,160,903	-	11,160,903

2020 წლის 31 დეკემბრის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება გამოიყურება შემდეგნაირად::

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	შესწორებები	2020 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	17,814,315	-	17,814,315
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(11,230,985)	-	(11,230,985)
მთლიანი მოგება/(ზარალი)	6,583,330	-	6,583,330
თანამშრომელთა ხელფასები	(2,590,394)	52,691	(2,643,085)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,564,734)	-	(1,564,734)
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	(89,802)	-	(89,802)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(1,624,379)	(52,691)	(1,571,688)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგები	714,020	-	714,020
ფინანსური შემოსავალი	4,015	-	4,015
ფინანსური ხარჯი	(341,632)	(3,120)	(338,512)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)	283,976	(108,579)	392,555
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(1,677,882)	-	(1,677,882)
	(913,499)	(111,699)	(905,805)
მოგების გადასახადი (ხარჯი)/აღდგენა	-	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	(913,499)	(111,699)	(905,805)
	-	-	-
წლის მთლიანი სრული მოგება	(913,499)	(111,699)	(905,805)



ინდივიდუალური
მმართველობითი ანგარიშგება

შპს „კოლორპაკი“

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს „კოლორპაკი“ პოლიგრაფიული საქმიანობით დაკავებულია 2005 წლიდან. კომპანია არის დარგის ლიდერი მაღალი ხარისხის სრული, ოპერატიული პოლიგრაფიული მომსახურებითა და კომფორტული სერვისით. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბეჭდვითი მომსახურება - პაკეტების, ეტიკეტების, რბილი შეფუთვების, სარეკლამო პროდუქციის და სხვა მიმართულებებით. კომპანიის დამკვეთები არიან სხვადასხვა დარგში მომუშავე საშუალო და მსხვილი ორგანიზაციები, ასევე ფიზიკური პირები. წარმოებაში დანერგილია მაღალტექნოლოგიური, უნიკალური დანადგარებით ბეჭდვა.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დამფუძნებლების მიერ დანიშნული დირექტორი.

შპს „კოლორპაკი“ არის შპს „გამომცემლობა კოლორი“ - ს შვილობილი კომპანია და იმყოფება მართვის ქვეშ, მესაკუთრეობის წილით - 100%.

კომპანია ფლობს წარმოებას, თბილისში, სამგორის რაიონში, მისამართზე - ეკატერინე ბაღდაძის ქ. N3.

კომპანია ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში. მიღებული გამოცდილებით, სიახლეების გაცვლით, ხდება წარმოებაში სიახლეების შემოტანა და მათი დანერგვა მოწვეული, უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით. მუდმივი ზრდისთვის და განვითარებისთვის კომპანია ყოველთვის ზრუნავს თანამშრომლების გადამზადებასა და მოტივირებაზე. 2021 წლის განმავლობაში კომპანიაში საშუალოდ 185 ადამიანი იყო დასაქმებული.

კომპანიის ძირითადი მიმართულებები

- ეტიკეტისა, პაკეტებისა და რბილი შეფუთვების ბეჭდვა.
- სარეკლამო პროდუქციის ბეჭდვა.
- სხვა პოლიგრაფიული მასალა და მომსახურება.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის კონკურენტული უპირატესობები შემდეგია:

- ✓ მრავალწლიანი გამოცდილება ბაზარზე.
- ✓ ტექნიკურ - ინტელექტუალური ბაზა.
- ✓ მაღალი ხარისხის მომსახურება, კონკურენტუნარიანი ფასებით, რაც საშუალებას გვაძლევს კონკურენცია გავუწიოთ ჩვენი დარგის, მოწინავე კომპანიებს მეზობელ ქვეყნებში.
- ✓ მუდმივი ხარისხის კონტროლი და ზრუნვა მომხმარებელთა კმაყოფილებაზე, რაც მიზეზია მომხმარებლების ერთგულებისა და გრძელვადიანი თანამშრომლობისა.
- ✓ კომპანიის მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული პოზიტიური რეპუტაცია რისი მიზეზიც არის მომსახურების მაღალი ხარისხი და საიმედოობა.

კომპანიის მთავარი მიზნებია:

- პროდუქციის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
- კლიენტების კმაყოფილებაზე ზრუნვა და ლოიალური დამკვეთების ზრდა;
- ბიზნეს-მიმართულებების გაუმჯობესება ახალი მანქანა-დანადგარებისა და ტექნოლოგიების დამატებით;
- პერსონალის კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლება;
- შრომის უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა;
- ექსპორტის განყოფილების შექმნა და ბეჭდვითი მომსახურების საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა.

კომპანიის წარმოებული კვლევები:

- 2020-2021 წლების განმავლობაში კომპანიაში არ ჩატარებულა რაიმე სახის სპეციფიკური კვლევა და არც იგეგმება მსგავსი ტიპის სამუშაოები უახლოეს პერიოდში.

COVID 19-ისა და რუსეთ უკრაინის ომის ზეგავლენა

COVID 19 - ის ზეგავლენით გამოწვეული ცვლილებები:

- თანამშრომელთა დენადობა და სახელფასო პოლიტიკა:
- პანდემიის პირობებში, კომპანიამ თანამშრომლების ძირითადი ნაწილი შეინარჩუნა, დაქირავებულ პირთა დენადობა ჩვეული ტემპებით მიმდინარეობდა და ვირუსის პერიოდში გადაცდენები დიდად არ ყოფილა, მოხდა გარკვეული პოზიციების ცვლილება და საწყის ეტაპზე ზოგიერთი თანამშრომლის გაშვება, მძიმე პანდემიურ პერიოდში თანამშრომლების ნაწილი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე.
- 3 თვიანი პერიოდით მოხდა, ძირითადად ადმინისტრაციის თანამშრომლების ანაზღაურების გარკვეული პროცენტით შემცირება, ეს გავრცელდა დაქირავებულ პირთა იმ ნაწილზე რომლებიც შედარებით მაღალი ფიქსირებული შემოსავლით გამოირჩეოდნენ.
- გაყიდვები და ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში:
- პანდემიიდან გამომდინარე კომპანიის დებიტორების ამოღების კოეფიციენტი დიდად არ შეცვლილა, იყო გარკვეული უარყოფითი ეფექტები თუმცა მცირე ვადიან პერიოდში. კომპანიის ძირითად მყიდველებს წარმოადგენენ დიდი მასშტაბის კომპანიები რომლებზეც ზეგავლენა კოვიდ პანდემიამ ნაკლებად მოახდინა.
- პანდემიის პერიოდში კომპანიაში გარკვეული მიმართულებების გაყიდვები შემცირდა, მაგრამ გარკვეულ მიმართულებებზე პანდემიამ დადებითი ეფექტი მოახდინა, შეცვლილი რეგულაციებიდან გამომდინარე გაიზარდა რბილი შეფუთვების მიმართულებით გაყიდვები. მთლიანობაში ჯამურ გაყიდვების მაჩვენებელში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა და პანდემიის უარყოფითი შედეგები კომპანიას, მხოლოდ პანდემიის საწყის ეტაპზე შეეხო.
- მიმდინარე მდგომარეობა და განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკა:
- კომპანიამ 2021 წლის მდგომარეობით საკმაოდ ბევრი ინვესტიცია განახორციელა როგორც ახალი მიმართულებებით, ასევე არსებული მიმართულებების

გაძლიერების კუთხით. ამ ეტაპზე, კომპანია გეგმავს სტაბილური ზრდის კოეფიციენტების შენარჩუნებას და ბაზარზე უკეთესად პოზიციონირებას, განხორციელებული საინვესტიციო პროექტების საფუძვლიანად ამუშავებით, რაც თავის მხრივ კონკურენტული უპირატესობების შექმნის, ასევე არსებული კლიენტების მეტად დაინტერესების და ახალი სამომხმარებლო სეგმენტის მოძიების საწინდარია.

- დღეის მდგომარეობით კომპანია დაბრუნებულია მუშაობის ჩვეულ რეჟიმში.

რუსეთ უკრაინის ომის ზეგავლენით გამოწვეული ცვლილებები:

- გავლენა იმპორტზე და გაძვირებული ნედლეული:
- საომარმა ვითარებამ დიდი გავლენა იქონია იმპორტზე, კომპანიას მოუხდა გარკვეული პოზიციების ცვლილება, ახალი მომწოდებლების მოძიება ან სხვა არსებული მომწოდებლებისაგან იმ მასალების წამოღება, რომლებზეც შეკვეთის გაფორმება გართულდა კონფლიქტურ ტერიტორიაზე. კომპანია ნაკლებად იყო დამოკიდებული რუსულ და უკრაინულ ბაზარზე, თუმცა ომმა გამოიწვია სხვადასხვა ეკონომიკური ცვლილებები, საწვავის გაძვირებით თუ რუსული და უკრაინული გადამზიდების ბაზრიდან გასვლით. აღნიშნულმა, გავლენა მოახდინა იმპორტის გაძვირებასა და მოწოდების გართულებაზე, შესაბამისად გაიზარდა ტრანსპორტირების ხარჯები, ტრანსპორტირების ხარჯების ზრდამ გააძვირა შესაძენი ნედლეული და მასალების შესასყიდი ღირებულება, გაიზარდა ტრანსპორტირებისთვის საჭირო მიწოდების ვადები.
- გაყიდვები და ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში:
- კომპანიის მყიდველებიდან საკმაოდ ბევრს გაყიდვის ბაზრად ჰქონდა რუსეთის და უკრაინის ტერიტორია, შესაბამისად ბევრმა მათგანმა შეამცირა შეკვეთები, ასევე დაფიქსირდა თანხების ამოღების გართულება. პრობლემები დაიწყო საწყის პერიოდში და რიგ შემთხვევაში გრძელდება დღემდე, თუმცა შეინიშნება დადებითი ტენდენციები რაც გვამლევს შესაძლებლობას, ვიფიქრობ რომ აღნიშნული მყიდველების ფინანსური მდგომარეობა მალე გაუმჯობესდება და მათთან ჩვენი ბიზნესურთიერთობა ომამდელ მდგომარეობას დაუბრუნდება.

კომპანიის საოპერაციო გარემო და წარმოქმნილი რისკების შეფასება

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები


✓ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება:

- 2021 წელს შპს გამომცემლობა კოლორის მხრიდან ბიუჯეტში გადახდილი 2 886 653 ლარი გადასახადების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

გადასახადები	თანხები
დღგ	598 080
საშემოსავლო გადასახადი	605 580
ქონების გადასახადი	98 958
დღგ საბაჟო	1 469 537
აქციზის გადასახადი საბაჟოზე	54
იმპორტის გადასახადი	4 027
სხვა	106 215
საურავები	4 202

- სახელმწიფო ბიუჯეტში 2016 – 2021 წლებში გადახდილი თანხები წლების მიხედვით შემდეგი დინამიკით ხასიათდებოდა:

ბიუჯეტში გადახდილი თანხები (ლარი)



✓ საოპერაციო შემოსავლები:

- კომპანიის საერთო საოპერაციო შემოსავლებმა 2021 წელს შეადგინეს 25 520 433 ლარი.
- პროდუქციისა და სხვა მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების დინამიკა 2019 – 2021 წლებში შემდეგი სიდიდეებით ხასიათდებოდა:

შემოსავალი	2019	2020	2021
პროდუქციისა და სხვა მასალების რეალიზაცია	8,783,419	17,814,315	25,520,433
სულ შემოსავალი	8,783,419	17,814,315	25,520,433

- 2019-2021 წლების განმავლობაში შეინიშნება დადებითი ტენდენციები, ყოველწლიურად იზრდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები კომპანიაში განხორციელებული დაატებითი ინვესტიციების, ახალი და არსებული მიმართულებების გაძლიერების და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯზე.
- ✓ საერთო ადმინისტრაციული ხარჯები:
- კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურა შედგება: თანამშრომელთა ხელფასების, კომუნიკაციისა და კომუნალური, ცვეთისა და ამორტიზაციის და სხვა საოპერაციო ხარჯებისაგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: საკონსულტაციო, იჯარის, საწვავის, მივლინების და სხვა ტიპის დანახარჯებს.
- თანამშრომელთა ხელფასის ხარჯების დინამიკა 2020 – 2021 წლებში შემდეგი სიდიდეებით ხასითდებოდა:

ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2021
თანამშრომელთა ხელფასები	2,643,085	3,853,031
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	89,803	92,882
ცვეთა და ამორტიზაცია	1,564,734	1,040,074
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,571,689	1,993,710

საწესდებო კაპიტალში მომხდარი ცვლილებები

შპს კოლორპაკში 2020 წლის იანვარში შპს გამომცემლობა კოლორიდან მოხდა საწესდებო კაპიტალის ზრდა, კაპიტალში ჩადებული მანქანა - დანადგარების მეშვეობით. კაპიტალის ზრდამ შეადგინა 2 855 767 ლარი. 2021 წლების განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა, კაპიტალის სტრუქტურა უცვლელია და საწესდებო კაპიტალის სიდედე შეადგენს 3 182 667ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

სანდრო გახელაძე

27/09/2021

თბილისი, საქართველო

- 2019-2021 წლების განმავლობაში შეინიშნება დადებითი ტენდენციები, ყოველწლიურად იზრდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები კომპანიაში განხორციელებული დაატებითი ინვესტიციების, ახალი და არსებული მიმართულებების გაძლიერების და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯზე.
- ✓ საერთო ადმინისტრაციული ხარჯები:
- კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურა შედგება: თანამშრომელთა ხელფასების, კომუნიკაციისა და კომუნალური, ცვეთისა და ამორტიზაციის და სხვა საოპერაციო ხარჯებისაგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: საკონსულტაციო, იჯარის, საწვავის, მივლინების და სხვა ტიპის დანახარჯებს.
- თანამშრომელთა ხელფასის ხარჯების დინამიკა 2020 – 2021 წლებში შემდეგი სიდიდეებით ხასითდებოდა:

ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2021
თანამშრომელთა ხელფასები	2,643,085	3,853,031
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	89,803	92,882
ცვეთა და ამორტიზაცია	1,564,734	1,040,074
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,571,689	1,993,710


საწესდებო კაპიტალში მომხდარი ცვლილებები

შპს კოლორპაკში 2020 წლის იანვარში შპს გამომცემლობა კოლორიდან მოხდა საწესდებო კაპიტალის ზრდა, კაპიტალში ჩადებული მანქანა - დანადგარების მეშვეობით. კაპიტალის ზრდამ შეადგინა 2 855 767 ლარი. 2021 წლების განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა, კაპიტალის სტრუქტურა უცვლელია და საწესდებო კაპიტალის სიდიდე შეადგენს 3 182 667 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი

სანდრო გახელაძე

27/09/2021

თბილისი, საქართველო